

# კახა კუჭავა: "იაპონიასა და ამერიკაში რაც მანქანა დაიძირა, ყველა საქართველოში აღმოჩნდა"

✘ პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კახა კუჭავას მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული ავტომობილების დიდი ნაწილი მძიმე გამონაბოლქვის მატარებელია, ამისთვის კი რეგულაციები უნდა დაწესდეს.

კუჭავას თქმით, საკომიტეტო მოკვლევის ფარგლებში სამოქალაქო სექტორმა რეკომენდაცია შეიტანა, რომლის თანახმადაც ტექნიკურად გაუმართავი მანქანები მათი იმპორტის დროს უნდა შეიზღუდოს.

*“ამ საკითხზე ვმსჯელობთ და მიმდინარე კვირის შაბათ-კვირას სამუშაო ჯგუფს შეხვედრა გვაქვს. შეიძლება, საქართველოში ავტომობილის შემოყვანა იაფია და ყველა ცდილობს, იაფიანი მანქანა შემოიყვანოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს ავტომობილები საიდან შემოდის. იაპონიასა და ამერიკაში რაც წყარდობა მოხდა და მანქანა დაიძირა, ფაქტიურად, ყველა საქართველოში აღმოჩნდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უხარისხო მანქანები შემოდის და შემდეგ ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი წყაროც ეს არის. მნიშვნელოვანი ფაქტია, ასეთი მანქანები თუ რა ბიანს აყენებს ადამიანებს და პირველ რიგში, ბავშვებს. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ნაბიჯების დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად ასანონ-დასანონია, თუმცა მანქანების დიდი ნაწილის ვიზუალიზაცია ჩანს, რომ მძიმე ისინი გამონაბოლქვის მატარებელია და აუცილებელია, რომ ამ თვარსაზრისით რეგულაციები დაწესდეს”, – განაცხადა კახა კუჭავამ.*

1 ივრისიდან სავარდებულოა სახელმწიფო ავტოპარკისა და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება.

